

## სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

### განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 18 მაისის #1-1/248 ბრძანების შესაბამისად

2014 წლის 4 ნოემბერს საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Pomagalski“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფასრგლებში ქ. ჭიათურაში მიმდინარეობს 4 რევერსული გონდოლებიანი საბაგირო გზის მშენებლობა.

ჭიათურის საბაგირო ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც 10 000 მეტი პირი სარგებლობს. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჭიათურის საბაგირო გზის 4 მონაკვეთს უნდა ჩაუტარდეს ჯამური სიგრძე 2,5 კილომეტრია. რეაბილიტირებული საბაგირო გზები ქალაქის ცენტრის გარეუბნებთან დააკავშირებს. მომზადდა განსახლების სამოქმედო გეგმა. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ უძრავი ქონების მესაკუთრეების ნაწილთან ქონების ნებაყოფლობითი გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება იქნა მიღწეული. მოლაპარაკებების წარმოების მიუხედავად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული პროექტის ზემოქმედების არეალში არსებულ ქ. ჭიათურაში, დავით აღმაშენებლის ქუჩა #93 მდებარე გიგა გოგაძის და ციური ქოქოშვილის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ს/კ 38.10.44.029 და მათთან მედიაციის ყველა რესურსი ამოწურულია.

2018 წლის 18 მაისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის #1-1/248 ბრძანება, რომლის შესაბამისადაც ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე) გიგა გოგაძის თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ჭიათურის საბაგიროს მშენებლობა წარმოადგენს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, სახელმწიფოს აღნიშნულ პროექტის ფარგლებში ესაჭიროება გიგა გოგაძის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - (მიწისნაკვეთი, მასზე არსებული შენობა ნაგებობა და ნარგავები 142 კვ.მ(ს/კ 38.10.44.029); მის: ქ. ჭიათურაში, დ. აღმაშენებლის ქუჩა #93.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.